

## მონყენილი გერანიები

### Die traurigen Geranien

Wolfgang Borchert

ავტორი - ვოლფგანგ ბორხერტი  
თარგმნა ლიკა გურული  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

The author - Wolfgang Borchert  
Translated by **Lika Guruli**  
Tbilisi State University

ბნელოდა, როცა მათ ერთმანეთი გაიცივნეს. მერე ქალმა კაცი შინ შეიპატიჟა, და ისიც შეჰყვა. ქალმა კაცს თავისი ბინა აჩვენა, სუფრები და სანოლის სატარებლები, თევზები და ჩანგლები, რაც კი რამ გააჩნდა. მაგრამ მერე, როცა ისინი პირველად ისხდნენ დღის შუქზე ერთმანეთის პირისპირ, კაცს ქალის ცხვირი მოხვდა თვალში.

ცხვირი ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს მიუკერებიათო. საერთოდ არ ჰგავს ჩვეულებრივ ცხვირს. ხეხილის ნაყოფს უფრო წააგავს. ღვთის გულისათვის! გაიფიქრა კაცმა. და ეს ნესტოები! სრულიად არასიმეტრიულად განლაგებული, ყოველგვარ ჰარმონიულობას მოკლებული. ერთი ვინროა და ოვალური. მეორეს უფსკრულივით დაუღია პირი, თითქოს ამოქნარებსო: ბნელი, მრგვალი და უძირო. კაცი ცხვირსახოცს დასწვდა და შუბლზე ოფლი შეიშრო.

ცხელა, არა? დაიწყო ქალმა.

ოჰ, კი. თქვა კაცმა და ისევ ქალის ცხვირს შეხედა. ალბათ მიკერებული თუა, კვლავ გაიფიქრა. სულ არ ჯდება სახეში, უცხო სხეულივითაა, ფერიც განსხვავებული აქვს. ბევრად უფრო ინტენსიური. და ნესტოები, სწორედ რომ არაჰარმონიული. ან ეგებ სულაც ახალი ტიპის ჰარმონიის მიხედვით განლაგებული, გაიფიქრა კაცმა, როგორც მაგალითად პიკასოსთანაა.

დიახ, დაიწყო ისევ კაცმა, არ გვინათ, რომ პიკასოს სწორი გზა აქვს არჩეული? ვისა, ვის? ჩაეკითხა ქალი, პი – კა – –?

კარგი, მაგას შევეშვათ, ამოიხვნეშა კაცმა და უცებ ყოველგვარი გადასვლის გარეშე თქვა: თქვენ ალბათ ოდესმე კატასტროფაში თუ მოყოლიხართ?

რატომ მეკითხებით? კითხვითვე უპასუხა ქალმა.

ხო, ისე, უბრალოდ, უმწეოდ მიუგო კაცმა.

აა, ცხვირის გამო?

ღიას, ცხვირის გამო.

არა, ის თავიდანვე ასეთი იყო. თქვა ქალმა სრულიად მშვიდად: თავიდანვე ასეთი იყო.

ეშმაკმა დალახვროს! კინალამ ხმამაღლა წამოსცდა კაცს, მაგრამ მხოლოდ ესლა უთხრა: ნუთუ მართლა?

და ამ დროს, სრულიად ჰარმონიული ადამიანი ვარ, ჩურჩულით თქვა ქალმა. მერე როგორ მიყვარს სიმეტრიულობა! აბა შეხედეთ ჩემს ორ გერანიას თანჯრის რაფაზე. ერთი მარცხნივ დგას, ერთი კი მარჯვნივ. სრულიად სიმეტრიულად. არა, მერწმუნეთ, შინაგანად სულ სხვანაირი ვარ. სულ სხვანაირი.

ამ სიტყვებთან ერთად ქალმა კაცს ხელი მუხლზე დაადო, და კაცმა იგრძნო, რომ ქალის შემზარავად ღრმა მზერამ კეფაც კი გაუხურა.

მეც ხომ სწორედ ქორწინების მომხრე ვარ, ერთად ცხოვრებისა, განაგრძობდა ქალი ჩუმად და ცოტა დარცხვენით.

სიმეტრიის გამო? წამოსცდა კაცს.

ჰარმონიის გამო, დაყვავებით შეუსწორა ქალმა, ჰარმონიის გამო.

კი, რა თქმა უნდა, თქვა კაცმა, ჰარმონიის გამო.

კაცი ფეხზე წამოდგა.

ოო, უკვე მიდიხართ?

მე, ხო, მივდივარ.

ქალი კარისკენ გაუძღვა.

შინაგანად სულ სხვა ადამიანი ვარ, ისევ დაინყო ქალმა თავიდან.

გეყოფა ერთი, გაიფიქრა კაცმა, შენი ცხვირი, პირდაპირ ძალადობაა, მიკერებული ძალადობა! ხმამაღლა კი თქვა: გინდათ მითხრათ, რომ თქვენ შინაგანად გერანიებივით ხართ. აფსოლიტურად სიმეტრიული, არა?

მერე კაცმა კიბე ისე ჩაათავა, უკან არ მოუხედავს.

ქალი ფანჯარასთან იდგა და მზერით მიაცილებდა. ხედავდა, როგორ შეჩერდა კაცი და როგორ გამაღებით იდებდა ცხვირსახოცს შუბლზე. ერთხელ, ორჯერ. მერე კიდევ ერთხელ. მაგრამ ის კი აღარ დაუნახავს, ამ დროს კაცს სახე როგორ დამანჭვოდა. ვერ დაინახა, რადგან თვალები წყლით ჰქონდა სავსე. და გერანიები, მათაც მოწყენილობა დასტყობოდათ, ყოველ შემთხვევაში ასეთ სურნელს აფრქვევდნენ.

**მთარგმნელის შესახებ:**

ლიკა გურული არის ფართო პროფილის თარგმანის მაგისტრატურის II კურსის სტუდენტი.

**About the translator:**

Lika Guruli is a second-year master's student of Master's Program of Broad Profile Translation.

Email: [lika.guruli@tsu.ge](mailto:lika.guruli@tsu.ge)